დანართი №1

შპს ცხუმ ეგრისის კოლეჯში აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა მონიავა
წევრები:
ინგა კალანდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ცხუმ-ეგრისი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

საიდენტიფიკაციო კოდი: 220377759

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების (2026 წლის 5 მარტის N269204 ბრძანება 2026 წლის 13 თებერვლის N163804 ბრძანებაში ცვლილების შესახებ) საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს ცხუმ-ეგრისში (მისამართი ქ.ზუგდიდი, მ.კოსტავას ქ.N32) ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 12 მარტს.

შპს ცხუმ-ეგრისმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა აღმზრდელის“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დღევანდელი მდგომარეობით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40. დაწესებულებამ გამოთქვა სურვილი დამატებით კიდევ 40 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ.
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველი ვიზიტის პროცესში დეტალურად იყო განმარტებული ექსპერტთა ჯგუფისათვის. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშო ბაღი; რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1186 თანამშრომელი, 164 სააღმზრდელო ჯგუფით; 2026 წელს იგეგმება მუნიციპალიტეტის 10 საბავშვო ბაღის ექსპლოატაციაში შეყვანა (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში -2025 წ იხ.https://zugdidi.gov.ge/files/content/2025_1761655542.pdf). დაწესებულებამ წარმოადგინა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ მოწერილობა კოლეჯისადმი, , რომელშიც აღნიშნულია აღმზრდელის პროგრამის საჭიროება და პროფესიის მნიშვნელობა სამეგრელოს რეგიონისთვის.
ასევე დაწესებულებამ განმარტა, რომ 2025 წელს პროგრამაზე იყო ჩარიცხული 32 სტუდენტი 66 განაცხადიდან.
სამუშაო ვიზიტი განხორციელდა კეთილგანწყობილ და საქმიან ვითარებაში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
აღმზრდელი	40	40	2	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

გ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ზუგდიდი. მ. კოსტავას ქუჩა №32
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	80
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	55
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....
.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „ცხუმ-ეგრისი“ „აღმზრდელის“ პროგრამას ახორციელებს 2019 წლიდან და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. პროგრამის განხორციელების საჭიროებას განაპირობებს არაერთი ფაქტორი, რომელთაგან მნიშვნელოვანია, გაზრდილი მოთხოვნა კვალიფიციურ სკოლამდელი განათლების სპეციალისტებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სკოლამდელი განათლების ეფექტიანად წარმართვისთვის. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, „აღმზრდელის" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

   აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 80 პროფესიულ სტუდენტს. „აღმზრდელი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A, B სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. ვიზიტის დროს დათვალიერდა სასწავლო გარემოებები და მატერიალური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსისა.

   „აღმზრდელი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში გამოყოფილია ორი A და სამი B ტიპის სასწავლო გარემო, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის. აღნიშნული გარემოები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც მოიცავს შესაბამის კომპიუტერულ აღჭურვილობას, სადემონსტრაციო საშუალებებს, დაფას, მაგიდებს, სკამებს და სხვა სასწავლო ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრულ ჩართულობას სასწავლო პროცესში. (80 სტუდენტისთვის)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი მოდულის: გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება ხორციელდება პრაქტიკულ სწავლებაზე. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან: ქ.ზუგდიდის N 13 ბაღი - 40 პროფესიულ სტუდენტზე; ქ.ზუგდიდის N 12 ბაღი - 40 პროფესიულ სტუდენტზე; ქ.ზუგდიდის N 1 ბაღი - 40 პროფესიულ სტუდენტზე; ზუგდიდის N 15 ბაღი - 40 პროფესიულ სტუდენტზე.

პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკული გამოყენება, პროფესიული დავალებების შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებას და სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, აღნიშნულ ობიექტებზე უზრუნველყოფილია ერთდროულად ყველა მსმენელის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვა. აღნიშნული რაოდენობა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისა სრულად ფარავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას - 80 სტუდენტს. აღნიშნული თანამშრომლობა, როგორც კოლეჯის მატერიალური რესურსი, ასევე პარტნიორ ორგანიზაციასთან კოოპერატიული ურთიერთობა, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას კოოპერატიული მიდგომით და პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.1. მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (80) გათვალისწინებით.

2. პროგრამის ფარგლებში ჩართულია - 18 პროფესიული მასწავლებელი, აქედან - 11 უძღვება დარგობრივ მოდულებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მდგრადობას. დასახელებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შპს“ცხუმ-ეგრისი” კოლეჯს შეუძლია გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით ჯამში მიიღოს 80 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულებას თითოეული მოდულისათვის ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, რათა ერთ-ერთი მათგანის მიერ კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას, მაგ. შვებულება, საავადმყოფო ფურცელი, სამსახურიდან წასვლა და სხვა, საფრთხეს არ უქმნის პროგრამის უწყვეტად განხორციელებას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.2. შესაბამისობაშია და კოლეჯის მიერ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას. პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და უწყვეტ განხორციელებას. პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა(ჯამში 18, აქედან 11 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი), კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება საკმარისია, და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.3. შესაბამისობაშია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „აღმზრდელი“ დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.4. შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ბოლაშვილი

5. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღმზრდელი მოდულებში მითითებული რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მატერიალური, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში. დაწესებულების ვებ- გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ელექტრონული სახელმძღვანელოებით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.5. შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულებით. განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის. წესის თანახმად სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებელის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

მონაწილეობით, შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რომელიც განხილული და შეთანხმებული იქნება პროფესიულ სტუდენტთან. შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება დაწესებულების დირექტორს დასამტკიცებლად.

დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.6. შესაბამისობაშია და სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივ, გამოყენებასა და პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამისათვის შემუშავებული ბიუჯეტი მოიცავს ყველა აუცილებელ ხარჯს, მათ შორის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო აპლიკაციების შეძენას, სტუდენტთა აქტივობებისა და პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯს. გარდა ამისა ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცნობადობის ამაღლების ღონისძიებები, იჯარის, მივლინებისა და სხვა ოპერაციული ხარჯების დაფარვა. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 57 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.7. შესაბამისობაშია და ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელი თანდართული დოკუმენტაციით;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
3. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
4. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის დებულება.
6. ვიზუალური დათვალიერებისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

.....

.....

.....

30 მარტი 2026 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....